საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№42 (6268) შაბათი 7 აპრილი 1990 წელი ფასი 3 კაპ.

ჩვენ არა გვაქვს ტანკები, სამაგიეროდ გვაქვს ყვავილები. და იმ ყვავილებით, ასე რომ, ... დათ ჩვენს ზვარაკად შეწირულ ... ...

ვვდებმა სრულიად საქართველოსთვის, მამულზე თქვენთან ვინც ახლა ვვდებმა

რეკს დედოზარი!

ხვეننს საკანასა...

მაგრამ ეზმოდათ თურმე დედოზარის ბიმნოდებელი ბა-ენიასეებს და ანნამ ბოლომდე ფიერბატებოდა ქართული ნერვი, გაწყლდებოდა ქართული სიტყვა, თავად დაარიგეს ლაშქრად ზარები, რათა ახელილიყო „თავენი დუმბელი ხედვიდა, ეუონი ეკიზენეს სმენაზე". ძნელია ეს, როცა გვრიან ხელს, ზარის ენაზე ჩამბეთ თავს ხანდაყენ ხელს. მერე ცდილან წაეჩოდა ხელის სიმსალინა ნაპოთი მოიელეთო თავის ის ბოლო, ანდა კმიკეზინი, ეი თუ მერე თავსაც გაგაპორეკენ საკანის მოეკეკეთნი, თავითონ ეუნდა ავდიოდეს სამრეკელთა, შენი თავგაწირვითი სულიერებენეთი. ასე გიოცოსდა ერის სამრეკლი ზარშანდელ ეკლეზიაზეა...

ეზეკენ ეზეკენ ეკლეზიაზეა...

მაგრამ ეზმოდათ თურმე დედოზარის ბიმნოდებელი ბა-ენიასეებს ერიდენთ ეკლეზიის ერიმეთ ეზეკენ ეზეკენ ეკლეზიაზეა...

ეზეკენ ეზეკენ ეკლეზიაზეა...

ეზეკენ ეზეკენ ეკლეზიაზეა...

ღმერთი არს ჩვენთან

ხარება

ერთ-ერთი უდიდესი, ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც წარმოადგენს ათ-თორმეტთაგან უძრავს და აღსრულდება ყოველთვის 7 აპრილს ახალი სტილით და 25 მარტს ძველი სტილით—არის ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

ამ დღეს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა ქალწულ მარიამს და აუწყა ღმერთის ნება, რამეთუ ის მუცლად იღებდა სულიწმიდისაგან ნაყოფს და ქვეყანას მოუვლენდა ძესა, რომელსაც უწოდებდნენ ემანუილს, რაც ნიშნავს მხსნელს კაცთა მოდგმისას. ქალწული მარიამი გაკვირდა, რადგან უქორწინებელი იყო და ეს უბრალო მოკვდავისათვის წარმოუდგენელი რამ არის. მთავარანგელოზი გაბრიელი მას არწმუნებს, რომ ნება ღვთისა აღესრულება და მას ვერაფერი შეაჩერებს.

ამით წინასწარმეტყველ ისაიას ნათქვამიც აღსრულდა „და აჰა მიუდგეს იგი ქალწული და შვას, ძე რომელსაც ეწოდოს ემანულ“ ეს მან იწინასწარმეტყველა რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ხარება არის დღე გახარებისა ყველა ქრისტიანისათვის. ეს არის დღე, რომლის დროსაც ყველა ჩვენგანმა უნდა ვადიდოთ ღმერთი, რადგან მან საკუთარი ძე ჩასახა ქალწულ მარიამის სხეულში, რომლიდანაც იესო ქრისტე განხორციელდა ისევ და ისევ ჩვენი სულების საცხოვნებლად.

ეს დღესასწაული დიდი უქმეა და ამ დროს მხოლოდ წირვა და ლოცვაა საჭირო, თან აუცილებლად კეთილი საქმის კეთება.

ეს დღესასწაული ათთორმეტთაგან მოძრავია და დაყვება აღდგომის ცვალებას, აღინიშნება აღდგომიდან ყოველთვის ერთი კვირით წინ. უქმეა. ხსნილია თევზით.

წელს ბზობა ხარების მეორე დღეა და აღინიშნება 8 აპრილს. ეს ის დღეა, როცა უფალი ჩვენი იესო ქრისტე შედის იერუსალიმში, რათა აღსრულდეს შემდეგ ის წინასწარმეტყველება, რაც მეტყველებდა იმაზე, რომ ქრისტე უნდა გასცენ, უნდა აწამონ, ჯვარს აცვან და მესამე დღეს დიდებით აღსდგეს მკვდრეთით, დაამხოს ჯოჯოხეთი, განთავისუფლოს მართალთა სულები და განუღოს მათ სამოთხის კარი.

ბზობა

ანუ დიდებით შესვლა იერუსალიმში

ბზობა დღეს კიცვსა ზედა მჯდომარე მაცხოვარი დიდებით შედის ქალაქ იერუსალიმში, სადაც მას ეგებება უამრავი ხალხი და ფერხთქვეშ უფენს რტოებს პალმისას და ბზისას, თავიანთ ტანისამოსს.

დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, ყველანი აქებდა და უგალობდა უფალს, „ოსანა მაღალთა შინა ღმერთსა, კურთხეული არს მომავალი სახელითა უფლისა“. ოსანა მაღალთა შინა ნიშნავს დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, რომელმაც მოავლინა ძე თვისი და მისი იერუსალიმში შემოსვლა კურთხეული და დალოცვილია.

ბზობას სხვანაირად ჰქვია ბაიაობა.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანნო და მეგობარნო, გილოცავთ ხარებაბზობას სასიხარულო დღესასწაულებს, მისი მადლი გფარავდეთ თქვენ, ყოველთანა.

ღმერთი არს ჩვენთან.

უჩა ასათიანი,

ცაგერის ყოვლად-წმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი.

ყველაზე მაღალი შენობა

ჩიკაგოს საქალაქო საბჭომ მოიწონა იმ შენობის აგების პროექტი, რომელიც ყველაზე მაღალი სახლი იქნება მსოფლიოში. იგი აშენდება ქალაქის ცენტრალური რაიონის დასავლეთ ნაწილში 110-სართულიანი ცათამბჯენის „სიერს ტაუერის“ გვერდით, რომელსაც სიმაღლის ახლანდელი რეკორდი ეკუთვნის. ახალი ცათამბჯენი 125-სართულიანი იქნება, ხოლო მისი სიმაღლე 585 მეტრს მიაღწევს.

უსინათლოებიც გაარჩევენ

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაგეგმილია წელს დაიწყონ ისეთი ბანკნოტების გამოშვება, რომლებსაც უსინათლოებიც გაარჩევენ. გარეგნულად ეს ფული არაფრით იქნება განსხვავებული ჩვეულებრივისაგან. მაგრამ მათზე, თვალისათვის უხილავად, ხელის შეხებით შესამჩნევი სიმბოლოებია. ეს საშუალებას მისცემს უსინათლო მოქალაქეებს ადვილად განსაზღვრონ თითოეული კუპიურის ღირებულება.

ახალი ფულის დამზადება დაკალებული აქვს გერმანიის ბანკს. მას დაგეგმილი აქვს ორი წლის განმავლობაში გამოუშვას რვა სერიის ბანკნოტი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში მთლიანად შეცვლიან ამჟამად ბრუნვაში მყოფ კუპიურებს.

ნანა გახვას ასულ კოპალიანს
გოგი აქვსენტის ძე გოლეთიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე და სიტკბოება.

ცაგერის ბაგა-ბაღის კოლექტივი.

ნაზიკო აღექსანდრეს ასულ გოლეთიანს
აქვსენტი კოლიას ძე გოლეთიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის ბედნიერებას. გისურვებთ მის გამრავლებას, სიკეთეს.

ნეოლინე საღინაძე, ბუჭუ გურული, ამირან ჩახულიანი, ჭიჭიკო, გივი კოპალიანები, სამსონ ყურაშვილი, ვლადიმერ ბერიძე, სოზარ ცვარიანი ოჯახებით.

იზო. ბახვა კოპალიანებს

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას.

ცაგერის საშუალო სკოლის 1959 წლის კურსდამთავრებულები.

მენთვის, მკითხველმ

ქრონიკული ბიბლიოთეკა

ცაგერის ცენტრალურმა საბავშვო ბიბლიოთეკამ და მისმა ფილიალებმა მიიღეს შემდეგი სახის ახალი საბავშვო ლიტერატურა:

ქ. ჯავახიშვილი, ე. გენძეხაძე—მიხეილ ჯავახიშვილი, ანოტირებული ბიბლიოგრაფია, თბ. მეცნიერება, 1989 წ.

ი. გოგებაშვილი — რჩეული თხზულებანი, ხუთ ტომად, ტ-1 თბ. გამომცემლობა „განათლება“, 1989 წ.

იაკობის სამრეკლო—მოგონებები და წერილები იაკობ გოგებაშვილის შესახებ. (მასწავლებლის ბიბლიოთეკა) თბ. „განათლება“, 1990 წ.

ი. გოგებაშვილი—ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, მესამე და მეოთხე წლისათვის. თბ. „განათლება“, 1989 წ.

ლ. მრევლიშვილი, მუსთაი ქარიმი—იყალთოელი ბიჭები, მოთხრობა, ავტორი ლ. მრევლიშვილი. სამფეხა, ჩვენი ოჯახის სიხარული, მოთხრობები, ავტორი მუსთაი ქარიმი (პიონერის ბიბლიოთეკა) რჩეული მოთხრობები. ტომი მე-8. თბ. „ნაკადული“. 1989 წ.

ვ. ჰიუგო — მოთხრობები. ოთხმოცდაცამეტი წელი (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის) ტომი მე-4 თბ. „ნაკადული“.

ნ. ბაუანოვი — რახმანინოვი—86 (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება)—თბ. „ნაკადული“, 1989წ.

ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ—ბიძია თომას ქოხი. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი. 1989 წ.

ი. სიხარულიძე — ჩიტუნების მასპინძელი—თბ. „ნაკადული“, 1989 წ.

ნ. ქადაგიძე — ქონდრის კაცი წინწკალა (ზღაპრები უმცროსკლასელთათვის), თბ. „ნაკადული“, 1989 წ.

ე. სამხარაძე—ნუნუკას ბაფთები (ლექსები უმცროსკლასელთათვის) თბ. „ნაკადული“, 1989 წ.

ჯერალდ დარელი—ჩემი ოჯახი და ცხოველები. ავტობიოგრაფიული მოთხრობა, თბ. „ნაკადული“, 1989 წ.

ფილმი ზღაპრები—თბ. ხელოვნება“, 1989 წ.

მ. საღინაძე,

ცაგერის ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო ბიბლიოგრაფი.

ფრეზი მევენახეებისათვის

ფრეზის სამოქმედო არე გააფართოეს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა. მათ შეიმუშავეს ვენახებში ნიადაგის კულტივაციისათვის საჭირო მოწყობილობა.

ფრეზი არა მარტო კარგად აფხვიერებს ნიადაგს, არამედ სპობს სარეველებს. ნიადაგში ურევს მათ. თუ აქამდე კულტივაციას 5-6-ჯერ ატარებდნენ, ახლა ოპერაციათა რაოდენობა ორჯერ შემცირდა, ხოლო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 20 პროცენტამდე გაიზარდა.

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს აღმასკომი აფრთხილებს ყველას, ვისაც კი სამასალე ხე-ტყე მიტანილი აქვს ქვედა ცაგერის სახერხთან და აწყვია ცენტრალური გზის ზედა მხარეზე, ორი კვირის ვადაში შეიტანონ იგი სახერხის ეზოში. წინააღმდეგ შემთხვევაში ხე-ტყე აღებული იქნება ადმინისტრაციული წესით და მის დაცვაზე პასუხს არავინ აგებს.

ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს აღმასკომი.

მეუღლე ანიჩკა, და მატრონე, შვილები ძაძუ, ბეგული, დემური, რძლები ნუნუ ქოჩიშვილი, ვულიკო ხეცურიანი, მარინა დიევნკო, შვილიშვილები გოგი, ირინე, დათო, მირზა, ნათია, ფიქრია, ეკა, ზვიადი, ცოლისძმა არსენ ხვადაგიანი, ძმისშილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით გარსევანის ძე ნემსწვერიძე.

დაკრძალვა 10 აპრილს, სამშაბათს, სოფ. უცხერში.

კურორტ ლაშჭალის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაილი, კანდიტ ჯინჭარაძეებს მამის

ევგენ ჯინჭარაძის

გარდაცვალების გამო.

შვილები ოთარი, ეთერი, რძალი ლამარა, სიძე სოსო ვაშაკიძე, შვილიშვილები თემური, დათო, დები ძაძუ, დუდუშა, დისშვილები ნოდარი, ბადრი, დარეჯანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შურა ფრუიძე.

დაკრძალვა 10 აპრილს, სამშაბათს, სოფ. წილამიერში.

ალპანის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ სულიკო და რეზო ჯანაძეებს დედამთილისა და დედის

ანიჩკა სოხაძე-ჯანაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3[illegible], განყოფილებების: სოფლის შეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის [illegible] პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.